

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**გამარტივებული ელექტრონული ტენდერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

13 მაისი, 2016 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

თენგიზ შანავა \_ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის წევრები

ნანი მიქენაია \_ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია \_ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია \_ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია \_ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია \_ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი;

მაია ჩიტაია \_ კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა \_ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა \_ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით \_ შვიდი წევრის დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.








**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თ. შანავას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1180 (ათას ას ოთხმოცი) ლარით.



კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის აქტირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

კომისიის წევრები:

- |    |   |               |                     |    |   |            |
|----|---|---------------|---------------------|----|---|------------|
| 1. |  | თ. შანავა     | (თავმჯდომარის მ/შ). | 5. |  | ჯ. არდია.  |
| 2. |  | ნ. მიქენაია.  |                     | 6. |  | ლ. დოჩია.  |
| 3. |  | თ. ქობალია.   |                     | 7. |   | მ. ჩიტაია. |
| 4. |  | რ. კილასონია. |                     |    |   |            |

კომისიის აპარატის წევრები:

- |    |   |             |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გვიშია.  |